Oxfam

ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

Welfare Foundation

ერთად ჩვენ შევძლებთ

ეკონომიკური ცვლილებები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევნილი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის გზით

მიზანი:

- ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დევნილების ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე;
- დევნილებისთვის საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გახმოვანების შესაძლებლობის შექმნა;
- დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი მუშაობა პრობლემების გადასაწყვეტად;
- დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება მათი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

პროექტის განხორციელების პერიოდი:
სექტემბერი, 2009 - მარტი, 2011.

საინფორმაციო უზრუნველყოფა

პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერა მოხდება შემდეგი საშუალებებით: გაზეთი, სატელევიზიო სიუჟეტები, დოკუმენტური ფილმი, ჯანმრთელობის მობილიზაციის დღე და მხარდამჭერთა ქსელი.

გაზეთი გამოიცემა 15-ათასიანი ტირაჟით, ორ თვეში ერთხელ და გავრცელდება პროექტით გათვალისწინებულ რეგიონებში.

საინფორმაციო კამპანია – ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამისა და პროგრამაში მონაწი-ლეობის პროცედურების შესახებ გავრცელდება მიზნობრივ ჯგუფებში.

ჩატარდება საინფორმაციო კამპანია ჯანდაცვის საკითხების შესახებ, რომლის ფარგლებში დარიგდება საინფორმაციო ბუკლეტები და გაკეთდება სატელევიზიო სიუჟეტები.

დოკუმენტური ფილმი - დევნილების შესახებ მომზადდება ფილმი, სადაც აისახება მათი ცხოვრება რეაბილიტირებულ, ახალ დასახლებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტებსა და კომპაქტურ ცენტრებში, ასევე მათი ყოველდღიური პრობლემები, სამომავლო გეგმები და იმედები.

ჯანმრთელობის მობილიზაციის დღე - პროექტით გათვალისწინებულ რეგიონებში ერთდროულად ჩატარდება ჯანმრთელობის მობილიზაციის დღე. ამ ღონისძიების მთავარი მიზანია ყურადღების გამახვილება დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, სოციალურ მდგომარეობასა და მათ უფლებებზე.

ტრენინგ-სესიები - ჯანდაცვის უფლებებისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით გაიმართება ტრენინგ-სესიები პროექტის ყველა რეგიონში. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ დევნილები და ადგილობრივი მოსახლეობა.

მობილიზაცია

სამუშაო შეხვედრები - დევნილები, ადგილობრივი მოსახლეობა, თვითმმართველობების წარმომადგენლები, ადგილობრივი მედია და სახელმწიფო სტრუქტურები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას სამუშაო შეხვედრებში. ამ შეხვედრებზე მოხდება გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილიზებული ჯგუფებისა და განვითარების კომიტეტებისთვის ჩატარდება **ტრენინგი** თემაზე: როგორ შევიმუშავოთ სოციალურ-ეკონომიკური გეგმა.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩატარდება შინამეურნეობების **კვლევა** პროექტით გათვალისწინებულ რეგიონებში.

ჯანდაცვის კომპონენტი

მასობრივი სამედიცინო გამოკვლევები - შიდა ქართლში, მცხეთა-მთია-ნეთში, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში განხორციელდება მასობრივი სამედიცინო გამოკვლევები, დაავადებათა გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით.

ადვოკატირება – სამუშაო შეხვედრები გაიმართება შემდეგ საკითხებზე: ჯანდაცვის პროგრამები, ჯანდაცვის უფლებები, ჯანდაცვის ცნობიერების ამაღლება. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონული ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური გაძლიერება

ტრენინგები ქალებისთვის – დევნილ და ადგილობრივად მაცხოვრებელ ქალბატონებს ჩაუტარდებათ ტრენინგები მცირე ბიზნესის დასაწყებად საჭირო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

ხელნაკეთების გამოფენა-გაყიდვა - დევნილ და ადგილობრივად მცხოვრებ ხელოვან ქალბატონებს მიეცემათ შესაძლებლობა, გააცნონ სა-კუთარი ნა-მუშევრები ფართო აუდიტორიას.

გრანტები მცირე ბიზნესის დასაწყებად - საუკეთესო ბიზნესგეგმის ავტორი ქალბატონები მიიღებენ გრანტებს საკუთარი მცირე ბიზნესის დასაწყებად ან განსავითარებლად.

დასაქმების ხელშეწყობა – პროექტის ფარგლებში მოხდება კვლევის შედეგად გამოვლენილი პოტენციური დამსაქმებლების დაკავშირება ვაკანსიების შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამუშაოს მაძიებლებ-თან (დევნილები და ადგილობრივი მოსახლეობა).

მხარდამჭერთა ქსელი - პროექტის ფარგლებში შეიქმნება მხარ-დამ-ჭერთა ქსელი საქართველოს 4 რეგიონში (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და სამეგრელო). მხარდამჭერთა ქსელ-ში ჩაერთვებიან ადგილობრივი და რეგიონული მედიის, ასევე არ-ასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ქსელი რეგულარულად ინფორმირებული იქნება დევნილებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებსა და სიახლეებზე, ამასთან ერთად იგი უზრუნველყოფს დევნილებისა და ადგილობრივი თე-მების ჩართულობას ყველა მნიშვნელოვან ადგილობრივ აქტივო-ბაში.

დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაცია – მობილიზაციის ჯგუფის მთავარი მიზანია დევნილთა საჭიროებე-ბის გამოვლენა და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. მობილიზებული სათემო ჯგუფის წარმომადგენლებს ჩაუტარ-დებათ ტრენინგები უნარების გაზრდის მიზნით. ასევე, მათ ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ მედიის, არასამთავ-რობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათემო ორგანიზაციების რეგისტრაციის ხელშეწყობა - სამოქალაქო და მობილიზებული ჯგუფები შეიქმნება დეგნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით.

მობილიზებული ჯგუფებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მომზადება - პროექტით გათვალისწინებულია მათი კომუნიკაციისა და პრეზენტაციული უნარ-ჩვევების გაზრდაზე მიმართული ღონისძიებები.

სოციალურ-ეკონომიკური გეგმების მომზადება

განვითარების კომიტეტების შექმნა - პროექტის ფარგლებში შეიქმნება განვითარების 7 კომიტეტი : ზუგდიდში, გორში, ქარელში, კასპში, ხაშურში, მცხეთასა და დუშეთში. განვითარების კომიტეტებში გაერთიანდებიან მობილიზებული ჯგუფის წევრები და თვითმმართველობები.

განვითარების კომიტეტების მთავარი დანიშნულებაა ადგილობრივი პრობლემების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კომიტეტები მოამზადებენ სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს.

დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის 47ა, თბილისი, 380079, საქართველო
(+995 32) 25 28 81; 25 28 83; 25 23 78.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (საეა)
ორბელიანის ქ. 35, თბილისი 0105, საქართველო
(+995 32) 92 28 39, 99 04 43,93 64 75.
office@economists.ge, www.economists.ge

ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - „დეა“
ლაზის ქუჩა №3, ზუგდიდი, საქართველო
(+995 215) 2 06 11, (+995 77) 45 45 88.
madonnakharebava@yahoo.com; madonna_k@gol.ge;
www.adw-dea.org.ge

ჯავშირი „ველფეარ ფაუნდეიშენი“
ჭავჭავაძის გამზ. 33ა, თბილისი 0179, საქართველო
(+995 32) 91 26 99, 91 62 99
wf@welfarefoundation.org.ge, www.welfarefoundation.org.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტში ჩაბმული მხარეები

დევნილი - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ახალ დასახლებებსა და კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები ოჯახები.

ადგილობრივი მოსახლეობა - შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა.

ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები და პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოები - შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

კერძო ბიზნესი - კვლევის შედეგად გამოვლენილი პოტენციური დამსაქმებლები, რომელთა დაკავშირება მოხდება შესაბამისი უნარების მქონე პროექტის ბენეფიციარებთან.

სხვა დაინტერესებული მხარეები - ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიის, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მსგავს საკითხებზე მუშაობენ.

ერთად ჩვენ შევძლებთ

- დევნილები და ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია საკუ-თარი უფლებების შესახებ და სარგებლობს არსებული შესაძლებლობებით.

- დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლიათ გამოხატონ საკუ-თარი ინტერესები და მოახდინონ მათი რეალიზაცია. ადგილობრივი თვით- მმართველობები რეაგირებენ მათ საჭიროებებზე და აქტიური დი-ალოგის გზით ახდენენ საერთო პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრის გზების მოძიებას.

- დევნილები, ადგილობრივი მოსახლეობა და თვითმმართველო-ბის წარმომადგენლები ჩაბმულნი არიან ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებაში.

PX 4659/1
ი 76/6
4m
ეროვნული
ბიბლიოთეკა



„წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა აქტიურ დიალოგში და გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ჩართვის გზით" განმახორციელებელი პარტნიორები, პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას."